ხელშეკრულება №45

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 3 ოქტომბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია კოპალიანის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ გიორგი კანდელაკი „ვესტა" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კანდელაკის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია არა ორიგინალი ტონერული კარტრიჯის (CPV30125100) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდათ) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ თბილისის №130- საჯარო სკოლა ს/კ 202055694 მის: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-4ვარტალი ტელ:2 52 88 77; საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „რესპუბლიკა ბანკი“ ბანკის კოდი ბანკის კოდი:REPLGE22 ს/ა GE31BR0000010663855590 **დირექტორი მაია კოპალიანი** (ხელმოწერა)	**მიმწოდებელი:** ი.მ გიორგი კანდელაკი ვესტა 01009005243 მის.:ქალაქი თბილისი აღმაშენებლის 55/1 ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბანკის კოდი BAGAGE22 ს/ა GE75BG0000000888000801 **დირექტორი: გიორგი კანდელაკი** (ხელმოწერა)

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ტონერული კარტრიჯი	ცალი	2	25,00 ლარი	50 ლარი
2					
3					
სულ დირებულება					50 ლარი

სსიპ - ქალაქ თბილისის №130საჯარო
სკოლის დირექტორი /მაია კოპალიანი/

ი.მ გიორგი კანდელაკი ვესტა დირექტორი /გიორგი კანდელაკი/

1	სასაქონლო ზედნადები №	ელ- 0265186662

2	03/10/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	14:14:32

დრო (საათი, წუთი)

4	ი/მ გიორგი კანდელაკი ვესტა	01009005243

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლა	202055694

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

მიწოდების სახე

7	ქ. თბილისი აღმაშენებლის 55/1

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	დ/მ მე-4 კვარტალი

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	0.00

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

რიგითი N	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*
I	II	III	IV	V	VI	VII
1	კარტრიჯი Canon-SENSYS 737CRG137/237/337 MF217W/211/212W/216	737/337	ცალი	2.00	25.000	50.000

13	50 - ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	გიორგი კანდელაკი

გამყიდველი (გამგზავნი) – საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები) – საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონის ჩაბარების		

თარიღი(რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა

* დღგ–ს გადამხდელისათვის დღგ–ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ–ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 03/10/2016 14:14:37

მიღება–ჩაბარების აქტი №

ქ.თბილისი 3 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლის დირექტორის მაია კოპალიანის სახით და მეორეს მხრივ ი.მ გიორგი ჭანდელაკი ვესტა წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კანდელაკის სახით ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 3 ოქტომბერს პირველმა მიიღო, ხოლო მეორემ ჩააბარა 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული N45 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი რომლის ჯამური ღირებულებაა 50 (ორმოცდაათი) ლარი.

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი(ლარი)	ჯამი(ლარი)
კარტრიჯი canon-SENSYS 737CRG137/237/337MF217 W211/212W/216N/22	2	25	50(ორმოცდაათი)

სსიპ - ქალაქ თბილისის №130- საჯარო სკოლა
ს/კ 202055694

დიღმის მასივი, მე-4კვარტალი
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „რესპუბლიკა ბანკი"

დირექტორი:

მაია კოპალიანი

ტელ:2 52 88 77

ი.მ გიორგი კანდელაკი ვესტა
მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1

;